# არ მინდა მინისტრობა!

## მგონია, რომ საქართველოში ჩემი ადგილი მოიძებნება

*ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი, გაემგზავრება თუ არა* ***კოკა ყანდიაშვილი*** *სულ მცირე, 4 წლით დიდ რუსეთში. გადაწყვეტილების მიღების დრო და პირობა კი თანდათან ილევა. ბოლო ხანს გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას ფრიად საინტერესო და მაცდუნებელი წინადადება შესთავაზეს — ევრაზიის ტელეაკადემიის ვიცე-პრეზიდენტობა. კოკა ჯერ ისევ ფიქრობს, როგორ მოიქცეს და როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შეთავაზებულ თანამდებობაზე უფრო უარს იტყვის. საამისოდ კი უამრავ მიზეზს ასახელებს. ამის გასარკვევად თავად კოკა ყანდიაშვილს მივაკითხეთ:*

— **როგორ მოხდა თქვენი მიწვევა ამ პოსტზე?**

— ახლახან მოსკოვიდან მივიღე წერილი ანატოლი დაშენკოსაგან. ეს არის რუსული ტელევიზიის პატრიარქი, ადამიანი, რომელმაც პირველმა მომიყვანა ტელევიზიაში, პროგრამა „ვზგლიადში", სადაც წლების განმავლობაში ერთად ვმუშაობდით. ის მწერდა ტელეაკადემიის მუშაობის და იმის შესახებ, რომ თურმე ჩემი კანდიდატურა წარუდგენია ევრაზიული ტელეაკადემიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე.

როცა წერილი წავიკითხე, გაოცებისა და სიხარულისაგან შოკში კინაღამ ჩავვარდი. რატომ მაინცდამაინც მე? — ვფიქრობდი, — როცა ალბათ, ჩემზე ბევრად ღირსეული ადამიანები ბლომად არიან ამ აკადემიაში: აკადემიკოსია ყაზახეთის პრეზიდენტის ქალიშვილი, ყაზახეთის ტელედეპარტამენტის თავმჯდომარე და კიდევ სხვები. სულ 60 აკადემიკოსია.

— **რა გელით, თუ ამ წინადადებას დათანხმდებით? რა სამუშაოთი იქნებით დაკავებული?**

— ევრაზიის ტელეაკადემია მოიცავს ათასობით ტელევიზიასა და რადიოს მთელი ევრაზიის მასშტაბით. ეს არის ჩვეულებრივი, გიგანტური, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც უამრავ საქმიანობას ეწევა. საინტერესო პროცესია აკადემიაში სხვადასხვა ქვეყნის სატელევიზიო პროექტებზე მუშაობა. ურთიერთობები, მასალის მომზადება, რეალიზაცია და ა.შ. გიხდება სხვადასხვა ფესტივალზე ჩასვლა, მოგზაურობა. ასე ვთქვათ, ცოტა „ბებრული" სამუშაოცაა, ჩინოვნიკურიც. მალე მოსკოვს მივემგზავრები და უფრო კონკრეტულად ვიცე-პრეზიდენტის საქმიანობის შესახებ იქ შევიტყობ. მიუხედავად იმისა, რომ უფრო უარის სათქმელად მივდივარ, ვიდრე დასათანხმებლად, მაინც მაინტერესებს მათ მიერ შემოთავაზებული პირობები.

— **ალბათ მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება ევრაზიის ტელეაკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.**

— ცხადია. ფინანსურ უზრუნველყოფაზე, სახლზე, აგარაკებსა და მანქანებზე საუბარი ზედმეტიც კია, იმდენად მოწესრიგებულია ეს საკითხი. მაგრამ ეს ყველაფერი მე არც ახლა მაკლია და ჩემი ინტერესის სფერო ამ შემთხვევაში ფული არ არის.

— **თუ ვიცე-პრეზიდენტობას გადაწყვეტთ, ოთხი წლით მოგიწევთ საქართველოს დატოვება?**

— ამ პოსტზე ყოფნის ვადა პრინციპში არ არის შეზღუდული. იქ არავინ არ მიდის ოთხი წლით. ხშირად, უფრო ხანგრძლივად გრძელდება ამ პოსტზე ყოფნის ვადა, მაგრამ არა მგონია დავთანხმდე და რუსეთში წავიდე.

— **თავს რა მიზეზით იკავებთ? კვლავ მოსკოვში დაბრუნება, არა მგონია, ძნელი იყოს თქვენთვის.**

— მოსკოვი ჩემი ბავშვობის, სტუდენტობის, პირველი სიყვარულის ქალაქია. იქ უამრავი მეგობარი მყავს, რომლებიც დღემდე მიხმობენ, დაბრუნდი, რა გინდა საქართველოშიო. მაგრამ საქართველოში ჩემი სახლია, ეს ჩემი სამშობლოა. მე შეიძლება წავიდე სადმე, მაგრამ მერე მაინც აქ უნდა დავბრუნდე. ე.ი. რა გამოდის — ყოველი წასვლა-წამოსვლის შემდეგ თავიდან უნდა დავიწყო საქმის კეთება.

— **ვგონებ, მოსკოვში გამგზავრებაზე უარს ოჯახის გამოც ამბობთ.**

— დიახ, ვერ წარმომიდგენია, ჩემი შვილები როგორ უნდა მოვწყვიტო თბილისს, ბებია-ბაბუებს, მეგობრებს. თუ წასვლას გადავწყვეტ, ჩემს მეუღლეს, ნონასაც მოუწევს სამსახურის დატოვება.

— **საქართველოში არავინ არაფერს გთავაზობთ, ან სულაც არაფერს გპირდებათ?**

— რუსეთიდან ამ საინტერესო მიწვევის გახმაურების შემდეგ შევხვდი პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომელმაც მითხრა: იქიდან წამოხვედი და ისევ დაბრუნებას აპირებ? ხომ იცი, თავიდან რომ მოგიწევს ყველაფრის დაწყებაო. მისი რჩევით რუსეთში არ უნდა წავიდე. შევხვდი ჟორბენაძეს, მიშა სააკაშვილს, ზურა ჟვანიას, ყველა ერთსა და იმავეს გაიძახის, — რა გინდა რუსეთში, გაგიჟდიო. ზაზა შენგელიამ კი მითხრა, ნუ წახვალ და პირველ არხზე გენერალურ პროდიუსერობას გთავაზობ, ოღონდ ბევრ ფულს ვერ გადაგიხდითო. ერთი სიტყვით, აქაც გაჩნდა საინტერესო წინადადებები. ვატყობ, აქ ყოფნის სურვილი გადაწონის...

— **წინადადება რუსეთიდან ძალიან მაცდუნებელია. თქვენ არასოდეს აგიხსნიათ ბადრი პატარკაციშვილის „იმედიდან" წამოსვლის მიზეზი. იქნებ ახლა მაინც თქვათ ამის შესახებ.**

— იქნებ სჯობს მკითხოთ, რატომ წავედი ბადრისთან?

— **კი ბატონო, ამაზეც ისაუბრეთ. თუმცა, ერთი ცხადია, თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ მასთან ყოფნის არცთუ ხანმოკლე პერიოდში.**

— თუ არ ჩავთვლით საახალწლო პროექტს, რომელიც (ვეთანხმები მაყურებელს) მართლაც რთული და საკამათო ნამუშევარი იყო. მე მასთან წავედი შარშან, 1 ნოემბერს და „იმედი" დავტოვე აპრილში. მართლაც არაფერი გამიკეთებია მასთან ყოფნის პერიოდში.

ეს დრო დავკარგე, მაგრამ პატარკაციშვილთან ურთიერთობა ჩემთვის მაინც ძალიან საინტერესო იყო. მაინტერესებდა ასეთ მდიდარ ადამიანთან ურთიერთობა.

— **ე.ი. აქაც იჩინა თავი თქვენთვის დამახასიათებელმა უცნაურმა ცნობისმოყვარეობამ.**

— მართალი ხართ. შევცდი, პატარკაციშვილთან რომ წავედი, მაგრამ არ შევცდი, რომ წამოვედი. ღმერთმა მომცა ძალა და ნება, ჩემი პროექტები მეკეთებინა. სულ მეგონა, რომ ჩემი გადაცემა „იმღერე რამეს" ეთერში გასვლის შემდეგ ბადრი დამირეკავდა და მომილოცავდა. გამიკვირდა, რომ არ დამირეკა.

— **მოგეხსენებათ, ყველა სიახლეს ჭორიც თან ახლავს. ხმა გავრცელდა, თუ კოკა ყანდიაშვილი ევრაზიის ტელეაკადემიის ვიცე-პრეზიდენტად წავა, შეიძლება საქართველოში დაბრუნების შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრად მოგვევლინოსო.**

— არა. რას ამბობთ. ასეთი თანამდებობა არ მინდა. არ მინდა ვიყო ვინმეს დაქვემდებარებაში. ტელევიზიის საქმე კარგად ვიცი და მუშაობაც იმ სფეროში მინდა, სადაც მთელი ჩემი ცხოვრება ვსაქმიანობ. საერთოდ არ მინდა მინისტრობა. მინდა მქონდეს ჩემი საქმე და ვფიქრობ, მისი მოძებნა საქართველოში შესაძლებელი უნდა იყოს. მინდა ვიყო თავისუფალი!

***ეკა ლომიძე***

---

# ეს გული უკვე დაპყრობილია

*ახალგაზრდა მომღერალი* ***ვერიკო ტურაშვილი*** *თვლის, რომ გაუმართლა და მისი წარმატების ვარსკვლავიც უცებ აციმციმდა, თუმცა, რომ არა მისი ნიჭიერება, ამ შემთხვევაში მარტო ფორტუნა ვერას გახდებოდა. ამ ცოტა ხნის წინ ალმა-ათაში ჩატარებულ ტრადიციულ მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე ვერიკომ გაიმარჯვა. მის მიერ წარმატებით შესრულებულ სიმღერებში მსმენელი თურმე განსაკუთრებით მოიხიბლა ერთ-ერთი მათგანით — „თუ ასე ტურფა იყავი" (სიმღერა ავთო ბადურაშვილის ახალი ინტერპრეტაციის მიხედვით შესრულდა). ეს სიმღერა უკვე ჩვენთანაც ჰიტად იქცა. ვერიკო ამჯერად ჩემი რესპონდენტია და თავის შესახებ მოგვითხრობს.*

— პირველ რიგში ალმა-ათის ფესტივალის შესახებ მინდა ვთქვა. ეს იყო ჩემთვის არაჩვეულებრივი მოვლენა. ჩვეულებისამებრ კულტურის სამინისტროში მივიდა ინფორმაცია ფესტივალის შესახებ. გაიგზავნა მასალა რამდენიმე მომღერლის შესახებ, მიწვევა მხოლოდ მე მომივიდა.

— **სადაც მგონი შენი სოლო დებიუტიც შედგა, არა?**

— დიახ. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, მართლაც ასე მოხდა. ბავშვობიდან ვმღერი. ღიმილით იხსენებენ ხოლმე ჩემი ახლობლები, ბაღში როგორ ვიყავი ზეიმების ფავორიტიც და ენამოჩლექით როგორ ვმღეროდი „აბა გუნდა, გუნდა გოგონებოს..." ბაღის შემდეგ შეჩერდა ჩემი „სოლო კარიერა". მერე ვმღეროდი ანსამბლ „ფერფლი და ფენიქსთან" ერთად. მისი დაშლის შემდეგ კი უცებ შევჩერდი და შეიძლებოდა ჩემს შემოქმედებაში ხანგრძლივი პაუზაც გაჩენილიყო.

— **რომ არა, ისევ ბედის წყალობა?**

— დიახ. აჩიკო მეფარიძის სოლო კონცერტზე მასთან ერთად შესრულებული „დღეები მიდიან"... ჩემთვის წარმატებული ნაბიჯი აღმოჩნდა. აჩიკო იმ დროს უკვე პოპულარული იყო და მის გვერდით გამოჩენაც საკმარისი იყო ჩემთვის. მაგრამ სიმღერასაც რომ მიქებდნენ მსმენელები, ძალიან მიხაროდა. ფესტივალზე გამარჯვებამ კი სიხარულით კინაღამ გონება დამაკარგვინა. ზოგჯერ არც კი მჯერა, რომ ასეთი წარმატება მოვიპოვე.

— **პრიზის გარდა, რით იყო ფესტივალი მნიშვნელოვანი შენთვის?**

— არ შემიძლია ამის შესახებ ხაზგასმით არ ვთქვა. ფესტივალზე იგრძნობოდა კი არა, აშკარა იყო ქართული ფოლკლორის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება, თაყვანისცემა. ფესტივალის თითოეულ მონაწილეს დავალებული გვქონდა, წარგვედგინა ჩვენი ინტერპრეტაციით შექმნილი ორი ფოლკლორული სიმღერა, ეროვნული საკრავების თანხლებით. გამარჯვებაც სწორედ ფოლკლორმა მომიტანა.

— **გეტყობა, ემოციური ხარ. სცენაზე გასვლის წინ ალბათ ნერვიულობ.**

— ძალიან. ოღონდ მხოლოდ სცენაზე გასვლის წინ. შევდგამ თუ არა ფეხს სცენაზე სხვა სამყაროში ვხვდები, ალარავითარი კომპლექსი არ მაწუხებს და სიმღერას მივყვები მთელი არსებით.

— **რესპონდენტს ეკითხებიან ხოლმე პირველი სიყვარულის, კოცნის, წარმატებების და ა.შ. შესახებ. სურვილი გამიჩნდა გკითხო, პირველი ინტერვიუ თუ გახსოვს?**

— კი, როგორ არა. უჰ, როგორ ვინერვიულე. 12-13 წლის ვიქნებოდი მაშინ. ძირითადად „ფერფლი და ფენიქსის" დანარჩენი წევრები საუბრობდნენ, მაგრამ მე ძალიან ვნერვიულობდი. როცა ვმღერი, ჩემი ხმით, შესრულების მანერით ვაგებ პასუხს, გამოვხატავ ჩემს შესაძლებლობებს, მაგრამ როცა ინტერვიუს ვიძლევი, იქ სიტყვას სხვანაირი მოპყრობა სჭირდება. მარტო სიმღერით არ უნდა მოსწონდე მსმენელს, ინტერვიუთიც უნდა მიგიღოს.

— **შენმა ახლობლებმა მითხრეს, რომ პროფესიული წარმატება მედიდურობის, ამპარტავნების განცდას არ იწვევს შენში. ეს რას ნიშნავს, ვარსკვლავური დაავადების მიმართ იმუნიტეტი გაქვს?**

— საკუთარ თავზე საუბარი არ შემიძლია. ვარ ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ბავშვობიდან ოცნებობს, რომ იმღეროს, კარგად იმღეროს.

— **ამიტომაც ღიღინებ გამუდმებით?**

— ჰო, ეს უკვე ყველამ შენიშნა. სადაც არ უნდა ვიყო სტუდიაში, თეატრალურ ინსტიტუტში, მანქანაში თუ სახლში, ყველგან ვღიღინებ. სიმღერა ჩემი ბედისწერაა.

— **ალბათ თაყვანისმცემლები მოგიმრავლდა.**

— ალბათ. მირეკავენ. ზოგ მათგანთან ვსაუბრობ კიდეც, ქუჩაში მცნობენ, მეფერებიან. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მსმენელისაგან მიღებული სიყვარული ხელოვანში ენერგიას ასკეცებს.

— **პირადი მცველების აყვანას ხომ არ დააპირებ?**

— ალბათ, არა. არა მგონია, ეს დამჭირდეს. ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ცხოვრება, სილაღე, რომ დაცვის თანხლებით ყოფნა არ შემიძლია. შეიძლება ეს რაღაც შემთხვევაში საჭირო იყოს, მაგრამ მუდმივად? არა, ამაზე არც მიფიქრია.

— **შენს ძალიან ახალგაზრდა თაყვანისმცემლებს აინტერესებთ, აქვთ თუ არა შენი გულის მოგების შანსი თუ ეს გული უკვე დაპყრობილია?**

— (იცინის) ეს გული უკვე დაპყრობილია. ჩვენ, მე და ჩემი გულისმპყრობელი, სიყვარულის წყალობით ერთმანეთის ტყვეებად ვიქეცით. საოცარი გრძნობაა, ვატყობ, რომ სტუდიაში სხვა განწყობით შევდივარ, სიმღერებს სხვა განწყობით ვწერ და ყველაფერი შეიცვალა.

— **როგორც ჭორები იუწყებიან, შენი სატრფო აჩიკო მეფარიძე ან მისი მენეჯერი უნდა იყოს.**

— ეს ჭორია, რომელზეც ბევრი ვიმხიარულე. ჯერ ცოლობას, ოჯახის შექმნას არც ვაპირებ, თუმცა, ვიმეორებ ეს გული უკვე დაპყრობილია.

***ეკა ლომიძე***

ჟურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მაცხოვრებელთათვის
სახლიდან გაუსვლელად
ტელ: 33-26-73